დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2-8

2011 წლის 31 იანვარი

ქ. დმანისი

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. შემოღებულ იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადი და მისი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" დმანისის მინიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 27 მარტის №71 დადგენილება;

ბ) „დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 16 ოქტომბრის №12-28 დადგენილება;

გ) „დმანისის მუნიციპალიტეტში ფიზიკური პირისთვის დასაბეგრ ქონებაზე, გარდა მიწისა, გადასახადის წლიური განაკვეთის განსაზღვრის შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 4 აგვისტოს №15-41 დადგენილება.

3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. მგელაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

2. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №6-19 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.

დანართი

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი. ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება, რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;

ბ) 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;

გ) 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1,5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

მუხლი 2

საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის -საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.2 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.8 პროცენტი.

მუხლი 4

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ერთ ჰექტარზე, ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია (მათ შორის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე):

№	მიწის კატეგორიები	გადასახადის განაკვეთები ლარი/ჰა
1	სათიბები (მათ, შორის გაკულტურებული)	18
2	საძოვრები (მათ, შორის გაკულტურებული)	15
3	ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწები	3
4	ყოფილი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის ტყეები	30
5	კარგი და მწირი ხარისხის სხვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი, საკარმიდამო და სხვ.) მიწები	82

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის დადგენილება №6-19 - ვებგვერდი, 20.04.2011 წ.

მუხლი 5 (ამოღებულია)

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

მუხლი 6 (ამოღებულია)

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

მუხლი 7

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების წლიური გადასახადის განაკვეთებია:

№	ტერიტორია	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	ქალაქი დმანისი	0.24	1,3	0,31
2	დმანისის მუნიციპალიტეტის დანარჩენი ტერიტორიები	0.24	0,7	0,17

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.

მუხლი 8

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.

მუხლი 8[1]

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლდეს:

ა) მრავალბინიან სახლში მცხოვრები ფიზიკური პირის თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული დაბეგვრის ობიექტი (მიწის ფართი);

ბ) საცხოვრებელ სახლებზე ან/და ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები;

გ) ავტოფარეხები.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 31 მარტის დადგენილება №5-17 - ვებგვერდი, 04.04.2011 წ.